ხაშურის მოამბე

№8 (430) 4 მარტი, ორშაბათი, 2024 წელი

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული მიხეილ შაყულაშვილი ქინძათი-დუმაცხოვის დამაკავშირიებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლების დუმაცხოვისა და ქინძათის დამაკავშირიებელი გზის რეაბილიტაცია დაწყო. სამშენებლო სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით მიმდინარეობს. ჯამში, დაგეგმილია 2 კმ-მდე გზის მოწყობა, რაზეც 1 მილიონ ლაზე მეტია გათვალისწინებული.

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული მიხეილ შაყულაშვილი, რწმუნებულის პირველ მოადგილესთან სიმონ გულედანთან და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერთან თენგის ჩიტიაშვილთან ერთად, გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო. რწმუნებულის თქმით, რეგიონის თითოეულ მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის მიმართულებით წელს მნიშვნელოვანი სამუშაოებია დაგეგმილი. ,, ხაშურის მუნიციპალიტეტში, სოფლების - ქინძათი-დუმაცხოვის დამაკავშირებელი გზის მოწყობა დავიწყეთ. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია 2 კილომეტრამდე გზის მოწყობა. აღსანიშნავია, რომ დუმაცხოვისა და ქინძათამდე მისასვლელი გზები გასულ წლებში უკვე რეაბილიტირდა, რამაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესა ადგილობრივების პირობები, მიმდინარე პროექტის დასრულების შემდეგ კი მოცემულ მონაკეთზე საგზაო ინფრასტრუქტურა სრულად იქნება მოწყობილი.“- აღნიშნა რწმუნებულმა.

სამუშაოები მიმდინარე წელს დასრულდება.

შიდა ქართლის რეგიონში სივრცითი დაგეგმარების რეგულაციების შესახებ სამუშაო შეხვედრა გაიმართა

საქართველოს სივრცითი დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში შესული ცვლილებების განხილვის მიზნითა და მუნიციპალური სამსახურების წარმომადგენლების შესაძლებლობების გაძლიერების მიმართულებით შიდა ქართლის რეგიონში სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე სიმონ გულედანი დაესწრო. შეხვედრას, ასევე, ესწრებოდნენ გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის ადგილობრივი თვითმმართველობის სამსახურების წარმომადგენლები და ის სამშენებლო კომპანიები და რეკრეაციული სივრცეების მოწყობით დაინტერესებული ორგანიზაციები, რომლებსაც კოდექსით გათვალისწინებული ცვლილებები შეეხებათ.

სამუშაო შეხვედრაზე შეკრებილებს კოდექსში შესული ცვლილებები გააცნეს, ასევე, მიაწოდეს ინფორმაცია საქართველოში არსებული გამოცდილების შესახებ. გარდა ამისა, იმსჯელეს იმ საჭიროებებზეც, რომლებიც მუნიციპალიტეტებს კოდექსთან შესაბამისობაში საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების კუთხით აქვთ.

დისკუსია ქალთა უფლებების დაცვის გარშემო

საკრებულოს ნიკო ნიკოლაძის სახელობის დარბაზში გაიმართა შეხვედრა თემაზე: „ქალთა უფლებების დაცვის და ადვოკატირების ინსტრუმენტები“, რომელსაც ესწრებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის, გენდერული თანასწორობის საბჭოს, არასამთავრობო ორგანიზაციების და საზოგადოების წარმომადგენლები.

პროექტის - „ერთად ქალთა უფლებებისთვის“ ფარგლებში, ორგანიზაცია ,,ქალი და განვითარების” დირექტორმა ფატი ბუხრიკიძემ გააკეთა პრეზენტაცია ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ პროექტებზე, ქალთა უფლებების დაცვის ეროვნულ, ევროპულ და საერთაშორისო მექანიზმებზე, რომლის შემდეგ გაიმართა დისკუსია.

ხაშურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა ისაუბრეს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის კუთხით გაწეულ საქმიანობაზე.

ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი”-ს ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 27/12/2022წ ბ84. 842236124 ბრძანებით დამტკიცებული ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის 2023წლის მუნიციპალური პროგრამის განხორციელება.

- ეპიდემიოლოგიური სიტუაციის მართვა და მონიტორინგი.
- იმუნიზაციის მართვა და მონიტორინგი.
- პარაზიტული დაავადებების (ჰელმინთების..) სკრინინგული კვლევები
- ცოფის (ჰიდროფობიის) პრევენცია.
- სახელმწიფო დაწესებულებების (სკოლები ,ბაგა-ბაღები ..) სანიტარულ-ჰიგიენური კონტროლი.
- მოსახლეობის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა

2. დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის პროგრამების განხორციელება:

- HCV (c ჰეპატიტი), HIV(შიდსი) და TB(ტუბერკულოზი) სკრინინგი.
- კოვიდ-19 სკრინინგი.
- საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების (სალონები) სანიტარულ-ჰიგიენური კონტროლი.
- ვერბალური აუტოფსია.
- თამბაქოს ჩარჩო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოწევის და რეალიზაციის მონიტორინგი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღნიშნულ პერიოდში სხვა ინფექციების მხრივ ეპიდსიტუაცია დამაკმაყოფილებელია. დაფიქსირდა შემდეგი ინფექციები: ყივანახველა-2 ჰეპატიტი „ბ”- 2(7) ჰეპატიტი „ც”—111(63 2022წ). სალმონელოზი--6(0) ეშერიხია--1(1) ბაქტერიული მენინგიტი---0(1) ჩუტყვავილა—120(67), ქუნთრუშა-27 (2),სავარაუდო საკვებისმიერი მოშხამვა--658(611), სოკოთი მოშხამვა--3(9) სავარაუდო დიარეული დაავადება-303(374), ტულარემია--3 (0), ბრუცელოზი--1, ლაიმის დაავადება--3 , ნოზოკომიური პნევმონია--24(23). ბაქტერიულისეფსისი-1, ტუბერკულოზი -11(10), ყირიმ კონგო--3(3), ლეპტოსპიროზი -4 , სიფილისი-11/1ორსული/(11), ბრუცელოზი-1, ტულარემია--2, 0-5 წლამდე ბავშვის გარდაცვალება-1, 15-49 წლამდე ქალის სიკვდილი-6, ტუბერკულოზი--13(10) ზედა სასუნთქი გზების ინფექცია--1614 (მ.შ. გრიპი--1) ყველა შემთხვევაზე ჩატარებულია ეპიდემიოლოგიურ კვლევები ბრძანება №55/ო-ს შესაბამისად.

ცხოველების მიერ დაზარალებულ პირთა რაოდენობა საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა 685 (623-2022წ) მათ შორის: პატრონიანი ცხოველი--323(296), მოხეტიალე--362 (327) ყველა მათგანს ჩაუტარდა ანტირაბიული აცრების შესაბამისი (პირობითი ან სრული) კურსი . გაიხარჯა 2036 (1574)

ანტირაბიული ვაქცინა და 126 (44) იმუნოგლობულინი.28 პირმა არ დაასრულა-შეწყვიტა ვაქცინაცია . ყველა შემთხვევა ეცნობა სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ადგილობრივ სამსახურს ცხოველებში ეპიდკვლევების ჩასატარებლად. საანგარიშო პერიოდში ანტირაბიული კაბინეტი მომარაგებული იყო ანტირაბიული ვაქცინისა და იმუნოგლობულინის საკმარისი რაოდენობით, ასევე ადგილზე გვაქვს სპეციფიკური შრატების და ვაქცინების სტრატეგიული მარაგები.

იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამით ჩატარებული აცრების რაოდენობა---7905 (მ.შ. გეგმიური--5482, არაგეგმიური--2423): ჰექსა-1312—87.4% (1034-69,2%); წითელა-წითურაყბაყურა-1314—92.0%-71.2%.(1-73,8%.2-58,4%); როტა-651-63.8%(503-51%) პნევმო-1338-86.8%(1020-68%), ტდ--682-57.9%(353 -40,9%). გარდ ასილი--633-32,3-12,%(425-16.9-9,6%). გრიპი--1413 და ა.შ. . იმუნიზაციის მაჩვენებლები რამდენიმე ვაქცინის შემთხვევაში ვერ უტოლდება მოცვის მაჩვენებლებს, განსაკუთრებით დაბალია გარდასილის (პაპილომა ვირუსის საწ.) შემთხვევაში.

ინტეგრირებული სკრინინგის (ც ჰეპატიტი, შიდსი, ტუბერკულოზი) სგდც მიერ გამოკვლეული იქნა 705 პირი.

განხორციელდა ხაშურის მუნიციპალიტეტში არსებული 14 სამედიცინო დაწესებულებების მონიტორინგი.(იმუნიზაციის და ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის კონტროლი...)

ჩატარდა სანიტარულ ჰიგიენური ნორმების შემოწმება 25 საჯარო სკოლაში, 18 საბავშვო ბაღში და 34 ესთეტიკური დანიშნულების ობიექტში(სალონები)

ყოველთვიურად მიმდინარეობს თამბაქოს მოხმარების და თამბაქოს პროდუქტებით ვაჭრობის მონიტორინგი, მოწევის მონიტორინგი ჩატარდა 134 ობიექტზე (სკოლა ,საჯარო დაწესებულაბა, სილამაზისსალონისამედიცინო დაწესებულება,სასტუმრო და კაფე-რესტორნები), ტრანსპორტი--78, შემოწმდა--96 სავაჭრო ობიექტი . დარღვევები დაფიქსირდა სპეციალურ პროგრამაში.

ჰელმინთებზე გამოკვლეული იქნა 18 მუნიციპალური და 2 ალტერნატიული ბაგა ბაღის 788 აღსაზრდელი, ინვაზირებული აღმოჩნდა 110 (მ.შ. ასკარიდა--53, ენტერო--57). პარაზიტოლოგის მიერ გაეწია ყველა მადგანს შესაბამისი კონსულტაცია.

რაც შეეხება კოვიდ -19 გავრცელებას; ჩვენს ცენტრში ჩატარდა - 2215 ტესტი . სულ რაიონში--12595, დაფიქსირდა 673 შემთხვევა, გამოჯანმრთელდა 672, ლეტალური-1.

დ. ჩიქოვანი, ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის“ დირექტორი

სურამში ცნობილი უკრაინელი პოეტი ქალის, ლესია უკრაინკას დაბადებიდან 153-ე წლისთავი აღინიშნა

ამ თარიღთან დაკავშირებით ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანმა მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მერიის და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად პატივი მიაგო უკრაინელი პოეტი ქალის ხსოვნას და მისი ძეგლი გვირგვინით შეამკო.

ცნობილმა უკრაინელმა პოეტმა ქალმა ლესია უკრაინკამ სიცოცხლის ბოლო პერიოდი სურამში გაატარა.

ღონისძიება განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ორგანიზებით მოეწყო.

გაეცვნენ სოფლის საჭიროებებს, დასახეს მომავლის თანამშრომლობის გეგმები

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი და ორგანიზაცია „ახალგაზრდები ხაშურისათვის“ დამფუძნებელი გიორგი მაჭარაშვილი ცხრამუხელ აქტივისტს, ელია ხმალაძეს შეხვდნენ და ადგილზე გაეცნენ სოფლის საჭიროებებს.

დაათვალიერეს დასრულებული და მიმდინარე სამუშაოები, როგორიცაა: სოფლის პროგრამის ფარგლებში გამწვანებული უბნები, ადგილობრივი ძალებით დამზადებული ქუჩების აბრები, სასმელი წყლის პროექტი, საბავშვო ბაღის მშენებლობა. აგრეთვე, დაათვალიერეს სოფლის ღირსშესანიშნაობები.

საუბარში გამოიკვეთა ახალგაზრდების ხედვა და გეგმები სოფლის უკეთესი მომავლისთვის, სამუზეუმო სივრცის, ახალი სკვერების, ქუჩების მოწყობის საკითხებზე, რაშიც ადგილობრივი ხელისუფლება, ახალგაზრდების ჩართულობით, გამოთქვამს მზაობას და თანამშრომლობის სურვილს.

ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორიები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2023წ.#42, #43 2024წ.#2,#3,#4,5,6,7)

ძველი ტყის გზა _ ადგ; გზა. ფიქსირდება ალისა და ნაბახტევის საზღვრების 1803 წლის გამიჯვნის წიგნში. ,,ამ ზემორე ძველი ტყის გზიდან მოკიდებული თავდაღმა ამ ბოგირამდი და ბურნაულას წყალი საცა ალის წყალს შეერთდება, ამის გაღმა ალისა არის და ამ მიჯნებს შიგნით ნაბახტევისა არის

. ძველი შარა - ადგ; იხ. დუმაცხოს ღელის ბოლო.

ძვლეული _ ადგ; იხ. კლდისწყაროს გზა.

წყაროს მიწა- ადგ., სათესი, საძოვარი.

ჭალა - ადგ; - დაფიქსირებულია ნაბახტევის 1782 წლის 4 ივლისის აღწერის საბუთში.

ჭანგიანები – ადგ; სახნავი დასავლეთის მხარეს. (ჭანგა იყო ბევრი).

ხანდაკი _ ადგ;

ხანდაძეების უბანი - ადგ; უბანი სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილში.

ხატის მიწა - ადგ; ფიქსირდება XVIII ს-ის დოკუმენტში, რომელიც წარმოადგენს ნაბახტეველთა მამულების მიჯნების წიგნს: ,,გოგიბაშვილის ხოდაბუ(ნ)ი: თავი - ხატის მიწამდი, ბოლო - დერგვისი გზამდი, გვერდიც - ხატის მიწის მიდგმამდი, მ(ე) ორ(ე) გვერდი - ღელემდი” .

ნასოფლარი ნ ი ნ ი ს ი

ბოგირი ღელე - ადგ; ღელე დასავლეთის მხარეს. ,,აქ ძველი ბოგირი იყო”.

გრძელი მიწა – ადგ., სახნავი აღმოსავლეთ მხარეს.

დედაბერა – ადგ., ნასოფლარი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. საჩხერისა და ხაშურის რაიონების საზღვარი. ,,იქიდან არიან ხარაიშვილი ჩამოსახლებული აქეთ“.

დევაძეების უბანი - ადგ; უბანი სოფლის დასავლეთ ნაწილში.

დევაძეების წყალი - წყარო დასავლეთის მხარეს. ,,დევაძეების გაკეთებულია“. დიდვაკე - ადგ., ნაძვნარი აღმოსავლეთის მხარეს. ,,სახნავი იყო ადრე, ახლა ნაძვია გაშენებული“.

ვახტანგიჭალა - ადგ., საძოვარი დასავლეთის მხარეს. ,,ტეფნაძე იყო გვარად ვახტანგი“.

ვერხვნარი – ადგ., ტყე აღმოსავლეთის მხარეს. ,,ვერხვნარია, ბევრი ვერხვია“.

ზოზურების ახო- ადგ., სახნავი დასავლეთის მხარეს. ,,კაცს რქმევია ზოზურა. იმ კაცის ყოფილა ის ადგილი. ტეფნაძე იყო“.

თაფლაღელე- ადგ., ღელე, სახნავი აღმოსავლეთის მხარეს. ,,ადრე ფუტკარი ჰყოლიათ. მერე დამწვარა ფუტკარი, ჩაყრილა სანთელი წყალში, დაარქვეს მერე თაფლაღელე“.

თელნარი – ადგ., საძოვარი დასავლეთის მხარეს. ,,თელებია ბევრი”.

კახურაული - ადგ., სათიბი დასავლეთის მხარეს. ,,ადრე სახნავი იყო, მაგრამ ახლა გაშვებულია. კახელები ყოფილან ადრე, კახელების მიწები ყოფილა ადრე”.

კახურაულის წყალი - ადგ; მდინარე, იგივე ნინისის წყალი, ჩამოედინება სოფელში ერთვის ულუმბის წყალს მარცხნიდან.

კვირიას ახო - ადგ., ახო დასავლეთის მხარეს. ,,კვირია კაცს ერქვა და იქ ცხოვრობდა. ტეფნაძე იყო გვარად“.

კიფოს ყანა - ადგ., სათივე დასავლეთის მხარეს. ,,კაცის სახელი იყო კიფო“.

კურტანიძეების უბანი – ადგ; უბანი სოფლის ცენტრში.

კურტანიძეების წყარო –ადგ; წყარო სოფელში. ,,კურტანიძეების გაკეთებულია, ცაცასი“.

მეცხვარეების ახო - ადგ., სათივე დასავლეთის მხარეს.

მყრალი ღელე - ადგ., ღელე აღმოსავლეთის მხარეს. ,,აქ ნაგავს ყრიდნენ“.

ნაკალოვარი- ადგ., საძოვარი დასავლეთის მხარეს. ,,სახნავი იყო ადრე, ახლა გაშვებულია საძოვრად, კალოები იყო და პურს ლეწავდნენ-ხოლმე აქ“.

ნამყენები - ადგ., საძოვარი დასავლეთის მხარეს. ,,ნამყენი ხილი ჰქონდათ ადრე, ახლა აღარ არის“.

ნამყენების წყალი - ადგ; მდინარე, ერთვის კახურაულის წყალს.

ნამყენების წყალი - ადგ; წყარო დასავლეთის მხარეს. ,,ცივი წყალია, ისეთია, რომ კბილებს მოგჭრის”.

ნაძვების სერი - ადგ., დასავლეთის მხარეს.

ნინისერები//ნინისის სერი - ადგ., სერი, გზა. ,,გადადის ულუმბაში, დედაბერაში“.

ნინისის ტყეები - ადგ., ტყე

ნინისულა - მდინარე, იგივე ნინისის წყალი.

ნინისის წყალი - მდინარე, იხ; ნინისულა.

ოთიაშვილების ყანა -ადგ., ტყე, დასავლეთის მხარეს. ,,ოთია კაცის სახელი იყო“.

ორტოტი - მდინარე დასავლეთის მხარეს, ერთვის ნინისის წყალს, იგივე კახრაულის წყალს. ,,ორი ტოტი წყალია. ერთი ნამყენების წყალია, მეორე კახრაულის წყალი და ერთდება აქ“.

ოსების კალო - დგ., მინდორი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,ადრე ოსებს ქონებიათ კალო“.

რაჭველების ღელე - ადგ., ღელე დასავლეთის მხარეს. ,,რაჭველები მდგარან აქა“. სამგლე სერი - ადგ., სერი დასავლეთის მხარეს. ,,მგლები არის ბევრი“.საჩქეფელა - ადგ., კლდე დასავლეთის მხარეს. ,,დიდი კლდე არის და წყალი გადმოჩქეფს“.

უცუნის კლდე - ადგ; კლდე აღმოსავლეთის მხარეს. ,,უცუნი ბალახია, რომ შეჭამოს რამემ, კლავს“.

ცაცას ახო - ადგ., სახნავი დასავლეთის მხარეს. ,,ცაცა იყო ამ სოფლის მთავარი კაცი, კურტანიძე იყო“.

ცივწყარო - ადგ., წყარო აღმოსავლეთის მხარეს.

წყაროს მიწა – ადგ; სახნავ დასაკიდის მხარეს. ,,წყაროებია და იმიტომ ეძახიან“.

ჭაობი - ადგ; მინდორი დასავლეთის მხარეს. ,,ჭაობიანი ადგილია“.

ხარაიშვილების უბანი - ადგ; უბანი სოფლის აღმოსავლეთის ნაწილში.

ჯვარი - ადგ; აღმოსავლეთის მხარეს. ,,ულუმბის შესახვევი რომ არის, ჭოშორის გადმოსახვევთან ახლოს არის“.

სოფელი უ ლ უ მ ბ ა

ავაზას წყალი - ადგ., წყარო დასავლეთის მხარეს. ,,წყალი გამოდის, წყაროებია“. ბასილას წყარო - ადგ; წყარო

ბელათხევი - ადგ., სათიბი აღმოსავლეთის მხარეს. ,,სახნავი იყო ადრე, ახლა სათიბია“.

ბნელეთის ღელე - ღელე. იგივე, რაც ბნელათხევი.

ბნელათხევი - ადგ; ხევი, ღელე ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს. ,,ძალიან ბნელი ხევი იყო“. ,,სათიბის ძირიდან იწყება ბელათხევის ღელე და ჩადის ულუმბის შესასვლელში და უერთდება ჭერათხეულას. ბნელი, გაუვალი ხევია. ამიტომ ეტყვიან“(ო.კიპაროიძე).

დედაბერა - ადგ., სერი დასავლეთის მხარეს. ,,უღელტეხილია, საჩხერის რაიონში გადავდივართ, ლიჩის სასოფლო საბჭოში“.

ზედაყანა - ადგ., სახნავი ჩრდილოეთის მხარეს. ,,კიპაროიძეებს ეკუთვნოდა“.

ზედაუბანი - ადგ; უბანი, იგივე კიპაროიძეების უბანი.

ზედაუბნის წყარო - წყარო კიპაროიძეების უბაში.

კიპაროიძეების უბანი - ადგ; უბანი სოფლის დასავლეთ ნაწილში, ეკლესიის ზემოთ.

კიპაროიძეების წყარო - წყარო, იგივე ქვედაუბნის წყარო.

კორტოხი - ადგ; მინდორი აღმოსავლეთის მხარეს. ,,გელაშვილებს ეკუთვნოდათ. სათიბად არ ხმარობდნენ, გამხმარი მინდორი იყო“.

კორტოხისერები - ადგ; გორა.

კოჟი - ადგ., მინდორი სამხრეთის მხარეს. ,,ხარაიშვილებს ეკუთვოდა. მაღალი გამოუსადეგარი ადგილი იყო“.

ნასახტრი - ადგ., მინდორი სამხრეთის მხარეს. ,,აქ არის ეკლესიის ნანგრევები“.

ნასახტრი ღელე - ღელე სამხრეთის მხარეს., უერთდება ულუმბის წყალს. ,,მის მარცხეა მხარეს ეკლესიის ნანგრევებია“.

ნაქერის ღელე - ღელე. ჩამოედინება სოფელში დასავლეთის მხრიდან, უერთდება ულუმბის წყალს. ,,ძველახოდან იღებს სათავეს, ჩადის ულუმბოში, კიპაროიძეებში, უერთდება სახტრის წინ ორტოტი ღელეს და ბელათევს“(ო. კიპაროიძე).

ნაცერცვალი - ადგ., მინდორი ჩრდილოეთის მხარეს. ,,გელაშვილებს ეკუთვნოდათ, ცერცვი ითესებოდა“.

ნახერგი//ნახერგები - ადგ., მინდორი, სახნავი, სათესი აღმოსავლეთით.

ნახერგის აღმართი - ადგილი აღმოსავლეთის მხარეს.

ნინისის სერი - ადგ., სერი, სახნავი სამხრეთის მხარეს. ,,ხარაიშვილებს ეკუთვნოდა, ნინისი სოფელი იყო“.

ორკაპი ღელე - ღელე ჩამოედინება სოფელში ჩრდილოეთის მხრიდან, ერთვის ულუმბის წყალს. ორტოტიღელე - ღელე ჩამოედინება სოფელში ჩრდილოეთის მხრიდან, ერთვის ულუმბის წყალს.

ოსიას სათიბი- ადგ., სათიბი აღმოსავლეთის მხარეს. ,,ოსია ხარაიშვილი იყო ჭოშორიდან, მისი გაკეთებული იყო“.

სათიბი - ადგ; სერი აღმოსავლეთის მხარეს, იგივე სათიბის სერი.

სათიბის სერი - ადგ., სერი აღმოსავლეთის მხარეს. ,,ადრე სახნავი იყო, სათიბი საერთოდ არ ყოფილა, ისე ეძახდნენ“, ,,აქაც არის ეკლესიის ნანგრევები“.

სათუთუნე - ადგ; მინდორი დასავლეთის მხარეს. ,,ადრე თუ თესდნენ თუთუნს, არ ვიცი“.

სამძღვარი - ადგ., მთა, სერი, მინდორი, საძოვარი ჩრდილო-დასავლეთით. ,,საჩხერის რაიონის საზღვარზეა, სახნავი იყო, ახლა სათიბია“. ,,საჩხერისა და ხაშურის რაიონების გამყოფია, წყალგამყოფიც არის. დასავლეთით საჩხერისკენ მიდის, აღმოსავლეთით ხაშურისკენ. გრძელდება დედაბერას სამძღვრამდე. დედაბერა სოფელი იყო საჩხერის რაიონში, ლიჩის საბჭოში“(ო, კიპაროიძე).

საფუტკრე - ადგ., გორა სოფლის ცენტრში, ეკლესიის დასავლეთ მხარეს. ,,ამაღლებული გორაა”.

სვიმონკას ნამწვი - ადგ; მინდორი, სახნავი, სათესი. ,,ეს ვიცი გელაშვილი იყო, იმას ეკავა“, ,,ძალიან ფერდა იყო, ხარებს უჭირდათ გავლა. გადაწვა ვიღაცამ და სახნავი გააკეთა“(ო. კიპაროიძე).

სპირიდონას ღარდი - ადგ; ხევი, მინდორი. ,,ღელე ჩადის ულუმბოში, გელაშვილებში უერთდება ორტოტი ღელეს, მიედინება სოფელში და უერთდება ჭერათხევს. სპირიდონა არ ვიცით ვინ არის“(ო. კიპაროიძე).

ულუმბის გადასასვლელი - ადგ; ლიხის გადასახლებული დასავლეთის მხარეს. ულუმბის წყალი - ღელე, ერთვის მდ. ჭერათხეულას. ,,ფიჭვნარის, ნაქერისა და ორტოტის ღელეები, რომ ერთდება, მერე არის ულუმბის წყალი“.

ფიჭვნარი - ადგ., საძოვარი სამხრეთ-დასავლეთ მხარეს. ,,ადრე სახნავი იყო, ფიჭვი ყოფილა, როცა ბასილა კიპაროიძეს გაუკაფია”.

ფიჭვნარის ღელე//ფიჭვნარის წყალი - ადგ; ღელე, ჩამოედინება სოფელში სამხრეთ მხრიდან, ერთვის ულუმბის წყალს.

ფხეწო ნამწვი - ადგ; იგივე სვიმონკას ნამწვი.

ქვედაუბანი - ადგ; უბანი, იგივე გელაშვილებისა და ხარაიშვლების უბანი. ქვედაუბნის წყარო - ადგ; წყარო სოფლის ცენტრში ეკლესიასთან. ,,ეკუთვნოდა გელაშვილებს და ხარაიშვილებს”.

ძმანელების მიწა - ადგ., მინდორი დასავლეთის მხარეს. ,,ადრე სახნავი იყო. ამ ადგილზე ჭალოვნელებთან ჰქონდათ დავა, ჩვენებმა წაართვეს და მერე დაერქვა ეს სახელი“.

წიწკილა წყარო//წიწკილა - ადგ; წყარო აღმოსავლეთის მხარეს. ,,ძველებურად გათლილი ხის ღარი ეგო და წყალი მოწინწკილებდა“.

წისქვილის ღელე - ადგ; ღელე აღმოსავლეთის მხარეს, უერთდება მდ. ჭერათხეულას. ,,წისქვილები ედგათ“.

ძველახო - ადგ., მინდორი, საძოვარი დასავლეთის მხარეს. ,,ძველი პაპის გაკეთებული ახოა და ამიტომ ეძახიან, კიპაროიძეებს ეკუთვნოდა“.

ჭალების გზა - გზა აღმოსავლეთ მხარეს. ,,ამ გზით შემოვდივართ სოფელში. დაბალი ადგილია, ჭალებს უძახდნენ“.

ჭალების მინდორი - ადგ., მინდორი აღმოსავლეთის მხარეს, ჭალების გზაზე.

ჭალის წყალი - მდინარე, იგივე ულუმბის წყალი.

ხარაიშვილების უბანი - უბანი სოფლის სამხრეთ ნაწილში, ეკლესიის მოპირდაპირე მხარეს, წყალგაღმა.

ხვანელების მიწა - ადგ., სახნავი დასავლეთის მხარეს.

ხვანელების მიწის აღმართი - გზა ჩრდილოეთის მხარეს. ,,ხვანი სოფელია საჩხერის რაიონში“.

ჯვრის აღმართი - გზა დასავლეთის მხარეს. ,,ძველებურად გაკეთებულია ჯვარი, გზაჯვარედინიც არის“.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

ეს ჩვენი ისტორიაა, ეს ჩვენი წარსულია

70 წელი ისტორიისათვის შეიძლება წამის, ერთი გაელვების ტოლფასი იყოს, მაგრამ როცა ეს ისტორია უშუალოდ შენ გეხება, მაშინ ის წამიც უმნიშვნელოვანესია, რადგან მასში შენი ცხოვრების ფრაგმენტია ჩატეული. ესეც არ იყოს, მთლად ცოტაც არაა (თუნდაც ისტორიისათვის) 70 წელი. მითუმეტეს, რომ ამ პერიოდში ჩვენთვის მთელი ეპოქა შეიცვალა. რა ხდებოდა 70 წლის უკან ჩვენს რაიონში, რა პოლიტიკური თუ სოციალური ფონი იყო, ამ ყველაფერს ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნებული სტატიები მცირე დოზით, მაგრამ მაინც ასახავენ. მაშ ასე, 1949 წელი გაზეთი „ბოლშევიკური სიტყვა“.

მოხუცი მონადირე

ნადირობისადმი სიყვარული პატარაობიდანვე ჩაენერგა სოფელ ლომისაში (წაღვლის სასოფლო საბჭო) მცხოვრებ მ. ხარაიშვილს. იგი ახლა 80 წლისაა, მაგრამ მიუხედავად მოხუცებულობისა, კვლავ გატაცებით ნადირობს მტაცებელ ცხოველებზე. მარტო გასული წლის დეკემბერში, მან ერთი მგელი, ერთი ფოცხვერი და სამი მელა მოკლა. მათი ტყავი სახელმწიფოს ჩააბარა და ჯილდოდ 500 მანეთი მიიღო.

მ. ხარაიშვილს, დღემდე მოკლული ყავს 120 მგელი, 40 ფოცხვერი და ბევრი სხვა მტაცებელი ცხოველი.

რადიომიმღები კოლმეურნეობაში

კაკალათხევის კოლმეურნეობის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ და გამგეობამ, გაეცნენ რა, პარტიის რაიკომის პლენუმის დადგენილებას სოფლის რადიოფიკაციის შესახებ, შეიძინეს რადიომიმღები „როდინა“.

კაკალათხეველი კოლმეურნეები ახლა ყოველდღიურად ისმენენ საინტერესო ამბებს ჩვენი ქვეყნის სისხლსავსე ცხოვრებისა და საერთაშორისო ამბების შესახებ.

კოლმეურნეებმა, შ. ღრიშვილმა, ი. ლაბაძემ, ს. ლაბაძემ და სხვებმა გამოსთქვეს სურვილი, რომ მალე საკუთრად შეიძენენ რადიომიმღებებს.

ძეხვის ქარხნის მშენებლობა

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო, ჩვენი რაიონის ხორცკომბინატთან აშენებს ძეხვის ქარხანას. ქარხნის მშენებლობასა და მოწყობაზე დაიხარჯება 260 ათასი მანეთი. მშენებლობის დამთავრება გათვალისწინებულია მიმდინარე წლის მარტის ბოლოსთვის. ქარხანა თვეში გამოუშვებს 6 ტონა ძეხვს.

ღირსეული სასჯელი-კოლმეურნეობის ქონების გამნიავებლებს

კრისხევის კოლმეურნეობის მოანგარიშემ გ.მ. ბიჭიკაშვილმა და აღმრიცხველმა გ.გ. მაზიაშვილმა, ერთმანეთთან შეთანხმებით, ხელი მიჰყვეს საკოლმეურნეო ქონების მითვისება-განიავებას. ყალბი საბუთების შედგენის გზით, გ.მ. ბიჭიკაშვილმა შეძლო მიეთვისებინა კოლმეურნეობის კუთვნილი 10.908 მანეთი, ფ. პ ბიჭიკაშვილმა 264 კილოგრამი ხორბალი, 37 კგ. შაქარი და 829 მანეთი ფულად. მსგავსი დანაშაული ჩაიდინა გ.გ მაზიაშვილმაც.

ამ დღეებში, მათი საქმე გაარჩია, ხაშურის რაიონის მეორე უბნის-სურამის სახალხო სასამართლომ. ბრალდებულთ დაეკისრათ კოლმეურნეებისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება, ამასთან, გ.მ ბიჭიკაშვილს მიესაჯა 19 წლით თავისუფლების აღკვეთა და სასჯელის მოხდის შემდეგ, ხუთი წლით ხმის უფლების ჩამორთმევა. ფ.პ ბიჭიკაშვილს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა და სასჯელის მოხდის შემდეგ, 3 წლით ხმის უფლების ჩამორთმევა. გ.გ მაზიაშვილს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა და სასჯელის მოხდის შემდეგ, 3 წლით ხმის უფლების ჩამორთმევა.

შ. კეთილაძე

ფეხბურთი

25 ივნისს, ხაშურის ფიზკულტურის მოედანზე შესდგა მორიგი მატჩი საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის სპორტულ საზოგადოება „ტრუდის“ და ხაშურის ნაკრებ ფეხბურთელთა გუნდები. მატჩის ორივე ტაიმი, ხაშურელთა უპირატესობით მიმდინარეობდა. თამაში დამთავრდა ანგარიშით 5:1 ხაშურელთა სასარგებლოდ.

აღსანიშნავია, რომ ხაშურელ ფეხბურთელებს წელს ჩატარებულ მატჩებში, 12 შესაძლებლობიდან მოპოვებული აქვთ 12 ქულა.

გ. დოხნაძე

გამალებით მუშაობენ

ფლევის სასოფლო საბჭოში განსაკუთრებული მზრუნველობით მოეკიდნენ სასკოლო მშენებლობას. დიდი ფლევის და ტკოცის სკოლების შენობათა გაფართოებისა და კეთიმოწყობის შემდეგ, დაიწყეს პატარა ფლევის სკოლის მშენებლობა.

სკოლის ხის შენობა, რომელიც ცუდად იყო დადგმული, დაშლილ იქნა. ახალ ადგილზე აშენდა ახალი შენობა, რომლის ქვედა სართული ქვისაა, ხოლო ზედა სართული ხის. მცირე დროა დარჩენილი პირველი ზარის დარეკვამდე, ამიტომ შეუსვენებლად მუშაობენ კოლმეურნე მშენებლები, ისინი პირობას იძლევიან, რომ 28 აგვისტოსათვის აუცილებლად დაამთავრებენ სკოლის შენობის მომზადებას.

ე. ქალიაშვილი

ბოსტნეულის უხვი მოსავალი

ჯერ კიდევ თოვლით იყო დაფარული არე-მარე, როდესაც ტეზრის კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავის“ მევენახეობა-მებოსტნეობის ბრიგადის წევრებმა ბრიგადირ მიხეილ მანჩხაშვილის მეთაურობით, ვალდებულება იკისრეს ყურძნისა და ბოსტნეულის მიმდინარე წლის მოსავლიანობის გეგმის 160-170 %-ით შესრულების შესახებ. ეს მათი სიტყვიერი პირობა იყო.

დადგა მუშაობის დრო. ვენახისა და ბოსტნეულის ყველა სახის სამუშაო დროულად და მაღალხარისხოვნად, აგრონომიული წესების ზუსტად დაცვით ჩატარდა მათ მიერ.

თავდადებულმა შრომამ, რომელსაც მევენახეობა-მებოსტნეობის ბრიგადის წევრები ეწეოდნენ, სასურველი შედეგი მოიტანა: 0,25 ჰექტარ მიწაზე კიტრის მოსავალი, ნაცვლად გათვალისწინებული 21, 25 ცენტერისა, მიღებულ იქნა100,21 ცენტერი, 232 პროცენტით შესრულდა ხახვის მოსავლის გეგმა.ორმაგად და უფრო მეტად სრულდება პამიდორისა და სხვა ბოსტნეული კულტურების მოსავლის მიღების გეგმა. ასეთი მდგომარეობაა ბოსტანში. რთველი კი ჯერ არ დაგვიწყია, წინასწარი ვარაუდით, ყურძნის მოსავლის მიღების ნაკისრს ვალდებულებასაც გადაჭარბებით შეასრულებს ჩვენი ბრიგადა.

ბრიგადის წევრები საბოლოო ანგარიშით დიდძალ ბოსტნეულსა და ყურძენს მიიღებენ შრომის დამატებითი ანაზღაურების სახით.

გ. ბირკაძე.

ვიქნები ლენინ-სტალინის საქმისთვის მტკიცე მებრძოლი

ცოდნის შეძენისა და დაუფლებისაკენ,მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის დაუფლებისაკენ მოგვიწოდებს ბოლშევიკების დიადი პარტია, ბრძენი ბელადი და მასწავლებელი დიდი სტალინი, აქეთკენ მოგვიწოდებდა დიდი ლენინი.

და ამ მოწოდების შესასრულებლად, ჩვენ საბჭოთა ახალგაზრდობას, ყოველგვარი პირობა გაგვაჩნია. ბევრი წამიკითხავს, ბევრი მომისმენია ოქტომბრის რევოლუციამდე სწავლა-აღზრდის შესახებ, იმის შესახებ, თუ რაოდენ ხელმისაწვდომი ყოფილა წარსულში ,32 წლის წინათ სასკოლო განათლების მიღება მშრომელთა შვილებისათვის, თუ რაოდენ დიდი ბრძოლა, მწარე განსაცდელი გამოუვლია მშრომელ ხალხს თავისუფლების მოსაპოვებლად, ჩვენთვის-საბჭოთა ბავშვებისათვის ბედნიერების მოსაპოვებლად.

დღეს, 32 წელი უსრულდება დიად საბჭოთა ქვეყანას, გიგანტური ნაბიჯებით მიდის იგი წინ-კომუნიზმის ბრწყინვალე მწვერვალებისკენ, დღითი დღე ვითარდება, წინ მიდის მოწინავე საბჭოთა მეცნიერება, ტექნიკა, ლიტერატურა, ხელოვნება. იზრდება, ფართოვდება მშვიდობისმოყარე საბჭოთა ადამიანის კულტურა, გონებრივი ჰორიზონტი.

როგორც საკავშირო კომუნისტური პარტიის(ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მოგვიწოდებს, ჩვენი, საბჭოთა ჭაბუკებისა და ქალიშვილების, პიონერებისა და მოსწავლეების ვალია, დაუღალავად დავეუფლოთ მოწინავე მეცნიერებას, ტექნიკას, კულტურას, დავეუფლოთ ცოდნას, რათა გავხდეთ ლენინ-სტალინის საქმისთვის მტკიცე მებრძოლნი.

როგორც ყოველთვის, სადშვიდნოემბრო ზეიმს, წელსაც ყველა საგანში „ხუთებით“ ვხვდები. მახარებს, ჩემი მოსწავლე-ამხანაგების მაღალი აკადემიური წარმატებანიც. საუკეთესოდ სწავლა, სანიმუშო დისციპლინა-აი, ჩვენი საოქტომბრო საჩუქარი დედა სამშობლოსადმი.

მილიონობით საბჭოთა მოსწავლეებთან ერთად, მტკიცე რწმენას გამოვთქვამ, რომ ვიქნები საყვარელი სოციალისტური სამშობლოს ერთგული შვილი, ლენინ-სტალინის საქმისათვის მტკიცე მებრძოლი.

დარეჯან კიკნაძე-რკინიგზის #13 საშუალო სკოლის მოსწავლე

ინგლისის დაწყებითი სკოლების ცუდი მდგომარეობა

ინგლისის მასწავლებელთა ნაციონალური პროფკავშირის მიერ გამოქვეყნებული მოხსენება შეიცვას ინგლისის დაწყებით სკოლებში არსებული ცუდი პირობების მკვეთრ კრიტიკას. ეს მოხსენება მოამზადა პროფკავშირის სპეციალურმა კომისიამ, რომელმაც ორნახევარი წლის განმავლობაში გამოიკვლია დაწყებითი სწავლების მდგომარეობა ინგლისში-მასწავლებლები-ნათქვამია მოხსენებაში-უიმედობის გრძნობით ცდილობენ ასწავლონ მრავალრიცხოვან ჯგუფებს, მოწაფეებით სავსე ცუდად მოწყობილ ოთახებში. სასკოლო შენობების ნახევარზე მეტი, ანტისანიტარულ მდგომარეობაშია.

რატომ არაა ხაშურში ხილ-ბოსტნეულის სავაჭრო?

საკმაო რაოდენობით მოდის ჩვენს რაიონში ხილ-ბოსტნეული. ეს ცნობილია ჩვენ რაიონის გარეთაც. მაგრამ არის ერთი უცნაურობა: რაიონის ცენტრში-ხაშურში ძნელია ვაშლის, კომშის და სხვა ხილეულის ან ბოსტნეულის შოვნა, რადგან აქ ხილ-ბოსტნეულის არც ერთი სავაჭრო წერტი არ არსებობს. ამ მდგომარეოას სათანადო ყურადღება უნდა მიაქციონ რაიონის სავაჭრო ორგანიზაციებმა.

ნ. ბლიაძე

მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

2023 წელს, შესყიდვების გეგმის შესაბამისად, სულ განხორციელდა 295 შესყიდვა, რამაც, გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით შეადგინა **26 708 070.43** ლარი

ზემოაღნიშნული შესყიდვებიდან გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებულია 181 ხელშეკრულება 5 180 489.33 ლარის შესყიდვაზე

ელექტრონული ტენდერის საშუალებით გაფორმებულია 114 ხელშეკრულება 21 527 581.10 ლარის შესყიდვაზე.

2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 28 დეკემბრის ჩათვლით, ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული იქნა 173 ტენდერი, საიდანაც 112 ტენდერი დასრულდა დადებითი შედეგით, ანუ გაფორმდა ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, აღნიშნული ტენდერების სავარაუდო ღირებულება შეადგენს - 24 458 493.50 ლარს, ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება შეადგენს - 21 727 544.25 ლარს, ეკონომია შეადგენს - 2 730 949.25 ლარს. 2023 წელში გამოცხადებული ტენდერებიდან არ შედგა 42 ტენდერი, 12 ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით, 3 ტენდერი მიმდინარეა, ხოლო 4 ტენდერი შეწყვეტილია.

2023 წლის განმავლობაში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტებიდან აღსანიშნავია გზების კეთილმოწყობის სამუშაოები, კერძოდ:

სოფელ ნაცარგორაში მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაოების შესყიდვა, ღირებულებით 1 595 594.60 ლარი;

სოფელ ახალუბანში გზის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა ღირებულებით 386 348 ლარი;

სოფელ ალში სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა, ღირებულებით 554 662.00 ლარი;

დაბა სურამში, კიკნაძის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა, ღირებულებით 127 176.96 ლარი;

სოფელ ყიფიანთუბანში გზაზე რკ. ბეტონის საფარის მოწყობის, სამუშაოების შესყიდვა, ღირებულებით 127 777.00 ლარი;

დაბა სურამში, ლესელიძის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა ღირებულებით 151 777,00 ლარი;

სოფელ ურთხვაში გზის (I და II მონაკვეთი) მოასფალტების სამუშაოების შესყიდვა ღირებულებით 534 532.50 ლარი;

დაბა სურამში, გოგოლის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა, ღირებულებით 102 494 ლარი;

ქალაქ ხაშურში პროფესიული სასწავლებლის მიმდებარედ ბეტონის საფარის მოწყობის შესყიდვა ღირებულებით 104 233.00 ლარი;

სოფელ ბიჯნისში, მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაოების შესყიდვა, ღირებულებით 1 610 836,00 ლარი;

სოფელ გომში მე-2 ქუჩის გზის მოასფალტების სამუშაოების შესყიდვა ღირებულებით 324 800,00 ლარი;

დაბა სურამში, ლესელიძის ქუჩაზე (ახალ სასაფლაომდე მისასვლელი) გზის მოასფალტების სამუშაოების შესყიდვა, ღირებულებით 287 521.35 ლარი;

ასევე, მითითებულ პერიოდში, სხვადასხვა ლოკაციებზე განხორციელდა სკვერების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა:

ქალაქ ხაშურში, ტაბიძის ქუჩაზე, არსებული პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა ღირებულებით 1 234 676.85 ლარი;

დაბა სურამში, გვერდისუბნის დასახლებაში (ამაღლების ქუჩაზე) სკვერის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა, ღირებულებით 104 298.82 ლარი;

ქალაქ ხაშურში ტურისტული ცენტრის მიმდებარედ სკვერის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა, ღირებულებით 174 500 ლარი;

ქალაქ ხაშურში, თამარ მეფის ქუჩაზე მუსიკალური სკოლის მიმდებარედ ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვა, ღირებულებით 149 107.66 ლარი;

ქალაქ ხაშურში, „ზემო სერის“ ტყე-პარკის (ს/კ 69.08.54.346) რეაბილიტაციის (მეორე ეტაპი) სამუშაოების შესყიდვა, ღირებულებით 1 158 885 ლარი;

სოფელ ტეზერში მინი სტადიონის და სკვერის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა, ღირებულებით 328 500.00 ლარი;

ქალაქ ხაშურში, ყოფილი სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე მინი სტადიონის და სკვერის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა, ღირებულებით 354 300.00 ლარი

ასევე, გაფორმებული ხელშკრულებების შესაბამისად სამუშაოები ჩაუტარდა სხვადასხვა შენობა-ნაგებობას:

სოფელ ქვიშხეთში ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა, ღირებულებით 248 230.57 ლარი;

ხაშურის კულტურის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა, ღირებულებით 1 714 744.99 ლარი;

ქალაქ ხაშურში, ოქტომბრის №101-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის და სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა, ღირებულებით 116 664.08 ლარი;

ქალაქ ხაშურში, შუშის ქარხნის დასახლება, ბინა №10-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ქანობიანი სახურავის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა, ღირებულებით 83 450.59 ლარი;

ქალაქ ხაშურში, თევდორე მღვდლის ქუჩა N43-ში (ბმა „ერთობა“) მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა ღირებულებით 123 739 ლარი;

სხვადასხვა ლოკაციაზე განხორციელდა დაზიანებული ნაპირსამაგრი სამუშაოების შესყიდვა:

დაბა სურამში მდინარე სურამულას მარცხენა ნაპირზე რუსიას ქუჩის მიმდებარედ L=307.0 მ) დაზიანებული ნაპირსამაგრი/ნაპირდამცავი კედლის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა, ღირებულებით 165 473,00 ლარი;

დაბა სურამში მდინარე სურამულას მარცხენა ნაპირზე აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარედ L=260.0 მ დაზიანებული ნაპირსამაგრი/ნაპირდამცავი კედლის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა, ღირებულებით 129 332.99 ლარი

სოფელ ვაყაში, მდინარე ჭერათხევის მონაკვეთზე დაზიანებული ნაპირსამაგრი/ნაპირდამცავი კედლების მშენებლობა/რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა, ღირებულებით 411 746,00 ლარი;

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს განხორციელდა დაბა სურამში, ჩუმათელეთის და იტრიის დასახლებაში 2 ცალი სასმელი წყლის ჭაბურღილის, საქლორატოროს და სასმელი წყლის ქსელის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა, ღირებულებით 2 556 976.00 ლარი. პროექტი გარდამავალია და სამუშაოების დასრულება მოხდება 2024 წელს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2023 წელს განხორციელებული მრავალწლიანი შესყიდვებიდან აღსანიშნავია:

სოფელ ნაცარგორაში მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაოების შესყიდვა;

სოფელ ბიჯნისში მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაოების შესყიდვა;

ქალაქ ხაშურში, ტაბიძის ქუჩაზე არსებული პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა;

ხაშურის კულტურის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა;

ქალაქ ხაშურში, „ზემო სერის“ ტყე-პარკის (ს/კ 69.08.54.346) რეაბილიტაციის (მეორე ეტაპი) სამუშაოების შესყიდვა;

დაბა სურამში, ლესელიძის ქუჩაზე (ახალ სასაფლაომდე მისასვლელი) გზის მოასფალტების სამუშაოების შესყიდვა;

სოფელ ტეზერში მინი სტადიონის და სკვერის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა;

ქალაქ ხაშურში, ყოფილი სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე მინი სტადიონის და სკვერის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა

დაბა სურამში, ჩუმათელეთის და იტრიის დასახლებაში, სასმელი წყლის ორი ჭაბურღილის, საქლორატოროს და სასმელი წყლის ქსელის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა.

მათგან, სოფელ ნაცარგორაში მისასვლელი გზის მოასფალტების, სოფელ ბიჯნისში მისასვლელი გზის, დაბა სურამში ლესელიძის ქუჩაზე (ახალ სასაფლაომდე მისასვლელი) გზის მოასფალტების და ტაბიძის ქუჩაზე არსებული პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება ფინანსური რესურსის მოძიების გამო მოხერხდა 2023 წელსვე.

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაფორმებულია ხელშეკრულებები სპეციალური დანიშნულების ავტოსატრანსპორტო საშუალებების: 3 ერთეულ ნაგავმზიდისა და 1 ერთეული ამწე-კალათის შესყიდვაზე, ჯამური ღირებულებით 1 368 960.00 ლარი, რომელთა შემოყვანა იგეგმება 2024 წლის პირველ ნახევარში.

თინათინ ხაჩიძე,
მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების ხელმძღვანელი

ძვირფასო მეგობრებო!

ნუ მიმართავთ ქონების მიზანმიმართულ დაზიანებას

ფოტოებზე სურამია, ბაიანთხევის გზა.

საგზაო ნიშნების მდგომარეობას თავადაც ხედავთ.

სამწუხაროდ, ფოტომასალა აშკარად ადასტურებს, რომ აქ შემთხვევით დაზიანებასთან საქმე არ უნდა გვქონდეს და მიზანმიმართული ქმედება იკვეთება.

საგზაო ნიშნების დანიშნულების ახსნა-განმარტებით თავს აღარ შეგაწყენთ, მხოლოდ შეგახსენებთ, რომ თითოეულ საგზაო ნიშანი მოქალაქეთა უსაფრთხოებას ემსახურება და ამიტომ, მათი მიზანმიმართული დაზიანება მოქალაქეთა უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა.

მუნიციპალიტეტის მერია მოგიწოდებთ, ნუ მიმართავთ ქონების მიზანმიმართულ დაზიანებას, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენს მიმართ გამოყენებული იქნება კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

-დღეს ხაშურს კიდევ ერთი კულტურული კერა შეემატა `-

„ივერია სინემა“ ყველას ეპატიჟება და კომფორტულ გარემოში სასიამოვნო დასვენებას გპირდებათ

კინოთეატრები გართობის, მეგობრების წრეში დროის გატარების და სხვა უამრავი ნაცნობების და უცნობების შეკრების კულტურული კერა იყო. ფილმის ნახვა, კინოთეატრის გარდა, მხოლოდ ტელევიზორში შეიძლებოდა და ისიც ჩამორჩებოდა ტექნოლოგიური სრულყოფილებით დიდ ეკრანზე ნახვის ესთეტიკურ სიამოვნებას. დღეს უკვე სხვა რეალობაა.

გარდა იმისა, რომ კინოთეატრი იყო ერთადერთი უალტერნატივო საშუალება, სადაც შეიძლებოდა ფილმის ნახვა, თვითონ ეკრანული გამოსახულება, როგორც ტექნოლოგიური სიახლე, გაკვირვებას და უდიდეს ინტერესს იწვევდა. კინო იყო შემეცნებითი და გასართობი. ერთდროულად ბიზნესიც და ხელოვნებაც. ის აერთიანებდა დიდსა და პატარას. ამდენად, კინოს მიმართ ინტერესი

განუსაზღვრელად დიდი იყო.

კინოთეატრებმა თავისი განსაკუთრებული კულტურა შექმნეს. 80-იან წლებშიც კი კარგ ტონად ითვლებოდა, თუ ფილმს ეკრანებზე გამოსვლისთანავე, პირველ კინოსეანსზე ნახავდა ადამიანი.

ხაშურელი მაყურებელი კინოთეატრში ფილმის ნახვის შესაძლებლობას სამი ათეული წელია მოკლებული იყო. ევრი წლის წინ კინოთეატრი დაიხურა და კინოეკრანი ჩაბნელდა. ორი წლის წინ ბიზნესმენმა ვალერი გელაშვილმა **დაიწყო ინფორმაციის და ტექნიკის მოძიება კინოთეატრის გასახსნელად. რეალური სამუშაოები გასული წლის აგვისტოდა მიმდინარეობს. დაახლოებით 2 მილიონის ინვესტიცია განხორციელდა.**

დღეს ხაშურში კინოთეატრი „ივერია სინემა“ გაიხსნება რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ხაშურელ მაყურებელს შეუძლია ფართო ეკრანზე ნახოს უახლესი, მსოფლიო კინოგაქირავებაში არსებული „მარველის“, „დისის“ და სხვათა ფილმები. ორშაბათს პირველი სეანსი შედგება. ნაჩვენები იქნება „დიუნის“ მეორე ნაწილი.

„ივერია სინემას“ კოორდინატორი და პროექციონისტი გიორგი მანჩაკოვი:

- დღეს შედგება კინოთეატრის ოფიციალური გახსნა, მაგრამ არა პომპეზური. გვსტუმრობდნენ თბილისის კინოთეატრებიდან. დიდია ინტერესი კინოთეატრის მიმართ. და ჩვენც მაყურებელს მაღალი ხარისხის კინოჩვენებასა და მომსახურებას ვთავაზობთ, რასაც საქართველოში არსებული უმაღლესი ხარისხის „დოლბისა“ და „კრისტის“ ტექნიკით და „კავეა საბურთალოსგან“ მიღებული ყველა ჟანრის უახლესი ფილმებით ვუზრუნველყოფთ. მაყურებელს ორი დარბაზი მოემსახურება, 79 ადგილიანი და 29 ადგილიანი. ყოველდღიურად 3-4 სეანსს. დარბაზები გთავაზობთ კინოჩვენების 3დ სისტემას, კომფორტული სავარძლებს, გახმოვანების 5,1 სისტემას. ერთი დარბაზი გაუშვებს ფილმებს, მეორე დარბაზი კი შესაძლებელი იქნება გაქირავდეს. ექნება კომერციული დანიშნულება.

ბილეთის შეძენა შესაძლებელია როგორც ონლაინ, ასევე ადგილზე, ბარში, სადაც მაყურებელს შეეძლება დაჯავშნოს და შეიძინოს ბილეთები. გვაქვს გამარტივებული სისტემა. ნათლად ხედავ რომელი ადგილია დაკ ავებული დარბაზში. ბილეთის ფასი არის 9 - დან 13 ლარამდე. ოთხშაბათობით გაიაფდება, ბოლო სეანსებია ფილმების და 9 ლარი ეღირება. სეანსები იქნება 2 – 5 - 8 საათზე, თუმცა შეიძლება შაბათ-კვირას უფრო ადრეც დაიწყოს ჩვენება. კინოთეატრი იმუშავებს ყოველდღე.



- ბუნებრივია, კინოთეატრს ესაჭიროება ადამიანური რესურსიც, გარდა მსოფლიო კინოგაქირავებაში არსებული უახლესი ფილმებისა და კომფორტული დარბაზებისა...

- რა თქმა უნდა. გვყავს ძალიან კარგი, ახალგაზრდა გუნდი. მეც და ყველა თანამშრომელმა გაიარა სტაჟირება, ვიმუშავეთ თბილისის კინოთეატრებში. თავდაპირველად კავეას ტექნიკურმა ჯგუ-ფმა ააწყო და გამართა სრულად ტექნიკა. ფუნქციონირება უკვე ჩვენი ვალდებულებაა. რამდენიმე პოზიციაა კინოთეატრში. მე ვიქნები კოორდ-ინატორი და პროექც-იონისტი, იქნებიან ბარის მომსახურე პერსონალი, სადაც გაიყიდება პოპკორნი და სხვადასხვა გამაგრილებელი სასმელები. კინოთეატრს ეყოლება დაცვაც. სხვათაშორის, დაცვის კამერები დარბაზებშიც იქნება დამონტაჟებული.

მაშ ასე, დღეს ხაშურს კიდევ ერთი კულტურული კერა შეემატა. „ივერია სინემა“ ყველას ეპატიჟება და კომფორტულ გარემოში სასიამოვნო დასვენებას გპირდებათ.

თ. ახალკაცი

D ემზარ ტაბატაძის ხსოვნას

მამა ჩუმად, სანთელივით იწვის და იფერფლება თავის საფიქრალსა და სადარდებელს არავის გაუმხელს. ვერც შვილები ვერასოდეს გაიგებენ მამის გულისტკივილს და როცა მამა მიდის მარადიულ სამყოფელში, მაშინ, მხოლოდ მაშინ ხვდებიან შვილები მამის ძლიერი ხელების სითბოსა და სიკეთეს და მამის ერთგულებას, სიცოცხლესაც რომ დაუფიქრებლად გაიმეტებს შვილებისთვის. მამის ცრემლები თვალებიდან კი არა, გულიდან მოედინება და შვილების გულში იღვრება. მამა შვილებისთვის სიკეთისა და

ერთგულების გარანტია. რა კარგია კარგი მამიკო, შვილები რომ სულის შეძვრამდე უყვარს.

შვილები მარი და ნინი, ნიკუშა, მეუღლე - ქალბატონი დარიკო ცრემლიანი მონატრებით იხსენებენ საყვარელ მამიკოს და მეუღლეს ემზარი გიორგის ძე ტაბატაძეს.

ჩვენო საყვარელო მამიკო, შენ ჩვენი იმედი და გზამკვლევი იყავი. შენი უკურნებელი სატკივარის გამო, ვერ შევძელით შენი გადარჩენა. რა ვიცოდით, თუ ასე ნაადრევად დაგვაშორებდა ერთმანეთს ულმობელი ბედისწერა. წუთითაც არ გვავიწყდები. ჩვენთან ხარ და იქნები ჩვენი გულისტკივილი და სადარდებელი.

უშენოდ მოვიდა პირველი გაზაფხული
ცრემლიანი და ტკივილიანი. ყვავილებსა
და მოფერებას არ მოვაკლებთ შენ
საფლავს. ძალიან, ძალიან გვენატრები,
ჩვენო კეთილო მამიკო.

მეგობარო, წუთით ჩემსკენ მოიხედე,
მაღლა ცისკენ ვეღარ სწვდება ჩემი მზერა,
ჩემი გული სიყვარულის ცეცხლით იწვის,
თქვენს მიტანილ თაიგულებს ელოდება.

ცრემლის დაღვრით დაგიმტკიცებ
მონატრებას,
შავ ღრუბელმა ჩაანაცვლა მზიანი,
ჩურჩულებენ მონატრებულ სიყვარულზე,
სინანულიც არის უკვე გვიანი.
შრიალებენ თითქოს ზღაპარს გიყვებიან,
ტირიფები თმაჭაღარა ჭადრები,
გული ისევ შენ გეძახის, ჩემო
კარგო,
ამდენ ტკივილს როგორ
გავუმკლავდები.

შვილები და მეუღლე

D ნათია კალმახელიძე-კაპანაძის გახსენება

იები, ვარდები, იასამანი, გვირილები.... ყვავილები ყველა ფერისა და სურნელისა ქალებისა და მხოლოდ ქალებისთვის იზრდებიან და იფურჩქნებიან. რომ შეიძლებოდეს წარსულის დაბრუნება, ყველა ყვავილს დავკრეფდი და მხოლოდ შენ გაჩუქებდი.

გასულ წელს, სარვამარტოდ, იები მოგიტანე. ვუყურებდი შენს სიხარულს და ვფიქრობდი, ნუთუ შეიძლება ქალი ყვავილების გამო ასეთი გატაცებული და ბედნიერი იყოს. არასოდეს არანაირი საჩუქარი ისე არ გაგხარებია, როგორც ეს ყვავილები.

მერე ყვავილები საყვავილეში ჩააწყე, ყოველდღე წყალს უსხამდი და ეფერებოდი. იები, ლურჯი იები სანამ ბოლომდე არ ჩამოჭკნენ, გადასაყრელად არ გემეტებოდა. ვაგლახ, ეს ყვავილები უკანასკნელი საჩუქარი იყო, უკანასკნელი სიხარული. გპირდები, სანამ ცოცხალი ვარ, ყოველ გაზაფხულზე საფლავზე მოგიტან იებს და ხსოვნასა და მოვლას არ მოვაკლებ შენ საფლავს.

იებს მოგიტან შეპირებულს საფლავის ქვასთან,
რადგან იები შენს გულშია და გიყვარდა
ასე.
რატომ მოხვედი ბედის მწერალო ცუდი ზრახვებით,
შენ, ბედისწერავ, უსამართლო და ბოღმით ხარ სავსე,
ბოლო იმედი წაიღე ჩემგან ამ გულთან ერთად,
ის მაინც გეთქვა, რატომ, რისთვის რა დავაშავე?!

მეუღლე სერგი კაპანაძე

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით
გაზეთი იბეჭდება თბილისში.